საინფორმაციო ბიულეტენი

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

DRI-ის საქმიანობა იანვარში

- საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების პრობლემებზე ხელისუფლებას მიმართავს
- DRI: ხელისუფლების შერჩევითი დამოკიდებულება საპროტესტო აქციების მონაწილეების მიმართ ახალისებს ძალადობრივი ჯგუფების აგრესიას
- აფხაზეთში რუსეთმა საზღვაო ბაზაზე წვრთნები გამართა - სარაკეტო/ დამრტყმელი დრონებით იერიშის მოგერიების იმიტაცია
- რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალში ეკონომიკურ კრიზისს ნავთობპროდუქტებზე მონოპოლიის დაკანონებით ამწვავებს
- წინასაარჩევნო პერიოდში აზერბაიჯანში გაძლიერდა ზეწოლა დამოუკიდებელ ჟურნალისტებზე
- DRI: შეკრების თავისუფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო მოწესრიგება ხარვეზიანია
- ხელისუფლებამ მასშტაბური საპოლიციო ძალის გამოყენებით აღასრულა უსამართლო კანონმდებლობა
- იძულებითი გამოსახლებისას დაკავებული პირების საქმეზე სასამართლომ მხოლოდ პოლიციელების ჩვენებით იხელმძღვანელა
- კეკელიძის N1-ში დაკავებული აკაკი ჩიქობავასა და გიორგი ხასაიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება არაპროპორციულია
- DRI: ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში მიზანმიმართულად იდევნება ქართული ენა

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

- სამოქალაქო ორგანიზაციები ეხმაურებიან ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად სამთავრობო გეგმის დამტკიცებას
- ხელისუფლება საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე თავდასხმით „მტრის ხატის“ შექმნას ცდილობს
- ევროკომისიის 9 დათქმა სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობით უნდა შესრულდეს

DRI-ის სამართლებრივი დახმარება

DRI სამართლებრივ დახმარებას უწევს ოკუპანტების მიერ სოფელ კირბალში მოკლული თამაზ გინტურის ოჯახს.

DRI-ის დახმარებით, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გადაყვანილი გინტურის კუთვნილი ავტომობილი ოჯახს დაუბრუნდა.

DRI ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ პირებს სთავაზობს უფასო იურიდიულ დახმარებას

ცხელი ხაზი :

511 331 228